<u>პროექტი</u>

საქართველოს ორგანული კანონი

„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, N.29, 12.10.2009, მუხ. 159) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-2 მუხლის „ჰ^{10}“ პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„ჰ^{10}) საპენსიო ფონდი - „დაგროვებითი პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საპენსიო ფონდი.“.

2. 32-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„მუხლი 32. კომერციული ბანკების, მიკრობანკების, არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებების, სხვა ფინანსური ინსტიტუტების, სარეზოლუციო ფონდის, საჯარო სამართლის იურიდიული პირის – დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს და საპენსიო ფონდის ანგარიშები ეროვნულ ბანკში

ეროვნული ბანკი უფლებამოსილია ჰქონდეს კომერციული ბანკების, მიკრობანკების, არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებების, მნიშვნელოვანი სისტემის მონაწილეების, საპენსიო ფონდის და საჯარო სამართლის იურიდიული პირის – დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს ანგარიშები და მიიღოს მათგან დეპოზიტები თავის მიერ დადგენილი წესითა და პირობებით. ეროვნული ბანკი უფლებამოსილია კომერციული ბანკის რეზოლუციის მიზნებისთვის გახსნას ანგარიში – სარეზოლუციო ფონდი.“.

3. 48-ე მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„1. ეროვნულ ბანკს მინიჭებული აქვს სრული უფლებამოსილება, ზედამხედველობა გაუწიოს კომერციული ბანკების, მიკრობანკების, საბანკო ჯგუფების, არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების, ფასიანი ქაღალდების დამოუკიდებელი რეგისტრატორების, საბროკერო კომპანიების (გარდა სადაზღვევო ბროკერებისა), საფონდო ბირჟის, ცენტრალური დეპოზიტარის, სპეციალიზებული დეპოზიტარის, აქტივების მმართველი კომპანიების, ანგარიშვალდებული საწარმოების, საპენსიო ფონდის, ვალუტის გადამცვლელი პუნქტების, საინვესტიციო ფონდების, ავტორიზებული სეკიურიტიზაციის სპეციალური მიზნობრივი ერთეულების, საგადახდო სისტემის ოპერატორების, საგადახდო მომსახურების პროვაიდერების, საკრედიტო საინფორმაციო ბიუროს, სესხის გამცემი სუბიექტებისა და ვირტუალური აქტივის მომსახურების პროვაიდერების საქმიანობას ამ კანონისა და სხვა სამართლებრივი აქტების საფუძველზე.“.

4. 52^{3} მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„მუხლი 52^{3}. საპენსიო ფონდის ზედამხედველობა
ეროვნული ბანკი უფლებამოსილია:

ა) განახორციელოს საპენსიო ფონდის საქმიანობის რეგულირება „დაგროვებითი პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად;
ბ) შეითანხმოს საპენსიო ფონდის მმართველობითი საბჭოს მიერ დამტკიცებული საინვესტიციო პოლიტიკის დოკუმეტი და ეროვნული ბანკის წესით განსაზღვრული სხვა პოლიტიკის დოკუმენტები. ამასთან ეროვნული ბანკი უფლებამოსილია პერიოდულად შეამოწმოს საპენსიო ფონდის პოლიტიკის დოკუმენტების შესაბამისობა მის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებთან;
გ) მისი საზედამხედველო საქმიანობის ფარგლებში სავალდებულო მითითებები მისცეს საპენსიო ფონდს;
დ) გასცეს რეკომენდაციები საპენსიო ფონდის დებულებასთან მიმართებით;
ე) მოთხოვოს საპენსიო ფონდის მმართველობით საბჭოს სავალდებულო წესით შექმნას კომიტეტები;
ვ) მნიშვნელოვანი დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში თანამდებობიდან გაათავისუფლოს დირექტორატის წევრი;
ზ) დაადგინოს დირექტორატის წევრის შესაფერისობის კრიტერიუმები და შეითანხმოს საპენსიო ფონდის დირექტორატის წევრის დანიშვნა;
თ) განსაზღვროს ფინანსური და არაფინანსური ინსტრუმენტების მინიმალური დასაშვები რეიტინგი ან დამატებითი მოთხოვნები ფინანსური ინსტრუმენტების ემიტენტების მიმართ, რომლებშიც შეიძლება საპენსიო ფონდმა განახორციელოს ინვესტირება;
ი) საპენსიო ფონდის მხრიდან მნიშვნელოვანი დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში საპენსიო ფონდს მისცეს სავალდებულო მითითება, გონივრული ვადების მითითებით;
კ) განახორციელოს საპენსიო ფონდის სპეციალური ადმინისტრირების დროებითი რეჟიმი „დაგროვებითი პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონისა და თავის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად;
ლ) დაადგინოს დამატებითი მარეგულირებელი წესები სპეციალიზებული დეპოზიტარისთვის, რომელიც მომსახურებას უწევს საპენსიო ფონდს, ეს წესები შეიძლება ეხებოდეს სპეციალიზებული დეპოზიტარის კაპიტალს, პერსონალის გამოცდილებას, ტექნიკურ პროგრამულ უზრუნველყოფას ან ნებისმიერ სხვა საკითხს, რომელსაც ეროვნული ბანკი საჭიროდ მიიჩნევს;
მ) აღიაროს სხვა სახელმწიფოს მიერ ლიცენზირებული სპეციალიზებული დეპოზიტარი და აქტივების მმართველი კომპანია თავის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად;
ნ) საპენსიო აქტივების მართვის მიზნით განახორციელოს ლიცენზირებული აქტივების მმართველი კომპანიის (კომპანიების) და სპეციალიზებული დეპოზიტარის (დეპოზიტარების) ავტორიზაცია თავის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად;
ო) დაადგინოს დამატებითი მოთხოვნები საქართველოში და საქართველოს ფარგლების გარეთ რეგისტრირებული/ლიცენზირებული აქტივების მმართველი კომპანიისთვის (კომპანიებისთვის);
პ) მოახდინოს საპენსიო ფონდის სპეციალიზებული დეპოზიტარის და აქტივების მმართველი კომპანიის (კომპანიების) ადგილზე შემოწმება „დაგროვებითი პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონისა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შესაბამისად;
ჟ) სპეციალიზებული დეპოზიტარის ფინანსური ან ორგანიზაციული მდგომარეობის გაუარესების ან შესაძლო გაუარესების შესახებ წერილობითი ინფორმაცია (მათ შორის, კონფიდენციალური ინფორმაცია) მიაწოდოს საპენსიო ფონდს;

რ) განიხილოს და გამოსცეს საპენსიო ფონდის საქმიანობის რეგულირებასთან დაკავშირებული სამართლებრივი აქტები საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;
ს) „დაგროვებითი პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად შეასრულოს სპეციალიზებული დეპოზიტარის ფუნქციები;
ტ) განახორციელოს „დაგროვებითი პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებანი.“.

5. 61-ე მუხლის მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„6. ყოველწლიურად, საფინანსო წლის დამთავრებიდან არაუგვიანეს 4 თვისა, ეროვნული ბანკი საქართველოს პარლამენტს წარუდგენს ანგარიშს ფულად-საკრედიტო, სავალუტო და საზედამხედველო პოლიტიკის განხორციელების შესახებ. ეროვნული ბანკი წლიურ ანგარიშში ასახავს საპენსიო ფონდის საქმიანობის „დაგროვებითი პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონთან და ეროვნული ბანკის მოთხოვნებთან შესაბამისობას. საქართველოს პარლამენტი ამტკიცებს წარდგენილ ანგარიშს.“.

მუხლი 2. კანონი ამოქმედდეს 2024 წლის 1 დეკემბრიდან.

საქართველოს პრეზიდენტი **სალომე ზურაბიშვილი**